

# 3410 IZOBLOK 1K

## ჰიდროფობიზაციური საყენი



### პროდუქტის აღწერა

ერთკომპონენტური, სუპერელასტიური, ჰიდროიზოლაციური საშუალება პოლიმერით მოდიფიცირებული ბიტუმის კაუჩუკის ფუძეზე.

### გამოყენების სფერო

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზედაპირების, რომლებიც მუდმივად მიწაში იმყოფება ან წყალთან აქვს მუდმივი კონტაქტი, ტენიანობისგან, წყლის შეღწევისა და მუდმივი წნევის ქვეშ მყოფი წყლისგან დასაცავად.

—საძირკვლების, საყრდენი კედლების, თიხების, ნაღების ჭურჭლის, ბაღის ტერასების, მიწისქვეშა სადგომების, სარდაფების ჰიდროიზოლაცია.

—საბანახანოები, საშხაპეები, საპირფარეოები და სხვა ტენიანი ოთახები.

—აივნები და ტერასები (მოპირკეთებული ზედაპირით), საყვავილეების და სხვა ნაგებობების ჰიდროიზოლაცია.

—მინერალური ზედაპირების, როგორცაა ბეტონი, ქვა, აგური, ბათქაში, ჰიდროიზოლაცია შენობის შიგნით და გარეთ.

—პოლისტიროლის თერმოიზოლაციური ფილების მიწებება.

### თავისებურებები

ადვილი დატანა ფუნჯით ან შპატელით. ვერტიკალურ ზედაპირებზე არ წინაცვლება.

გააჩნია შესანიშნავი ადჰეზია ბეტონზე, ქვებზე, აგურზე და სხვა მინერალურ ზედაპირებზე.

სუპერელასტიურობა ფარავს ბზარებს, ფარავს ჩაჯდომის ბზარებს.

უზრუნველყოფს შესანიშნავ ჰიდროიზოლაციას წყლისა და ტენიანობისგან ნაკერებისა და პირაპირების გარეშე.

გააჩნია ცვეთის, წყლის ზემოქმედების, მარილოვანი ხსნარების, ნიადაგში არსებული ქიმიური ნივთიერებების და სუსტი მჟავების მიმართ მაღალი შედეგობა.

ინარჩუნებს მახასიათებლებს მრავალი წლის შემდეგაც.

სწრაფად შრება და ხანგამძლეა.

—მედევია გაყინვა-დნობის ციკლების მიმართ.

—შეიძლება გამოიყენებოდეს მოძრაობის და ვიბრაციის ადგილებში.

—არ შეიცავს სოლვენტს. უსაფრთხოა გარემოსთვის.

### გამოყენების ინსტრუქცია

გაწმინდეთ ზედაპირი მტვრის, ჭუჭყის, ზეთისა და დაუშავრებელი ნაწილაკებისგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ადჰეზიას.

—საშუალება უნდა დატანოთ მშრალ ან ნესტიან, მაგრამ არა სველ ზედაპირზე, არ გამოიყენოთ საშუალება წვიმიან ამინდში.

—უსწორმასწორობები ზედაპირზე გასწორეთ მაკორექტირებელი ხსნარით TAMIRART.

—ძალიან ფოროვანი და პერფორირებული ზედაპირებისა და ბუმტულების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, ზედაპირი დაამუშავეთ ხსნარით TAMIRART 5 ან IZOBLOK 1K/2K და დახურეთ ყველა ფორი.

—ადჰეზიის უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, ზედაპირები, რომლებისთვისაც არსებობს მტვრის ან ადჰეზიის პრობლემები, უნდადაგრუნტოთ საშუალებით IZOBLOK 1K, გახსნილი წყალში პროპორციით 1/3 – 1/5.

—დიდი სიბრტყეების მექანიკური მახასიათებლების გაუმჯობესებისთვის, ასევე ჰორიზონტალური და ვერტიკალური პირაპირებისა და ბზარების შესაკეთებლად მექანიკური ძალისხმევით, რეკომენდირებულია სპეციალური საიზოლაციო ბადის 70-90 გრ/მ<sup>2</sup> გამოყენება.

მიწისქვეშა ნაგებობების დაფარვამდე, ზედაპირები, რომლებზეც იყო დატანილი საშუალება, უნდა დაიცვათ დაზიანებებისგან თერმოიზოლაციური ფილებით, სადრენაჟო ფილებით ან აგურებით.

—მშრალი საშუალება უნდა ჩაყაროთ თხევად კომპონენტში მუდმივი არევით. აურით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე რეკომენდირებულია მიქსერის გამოყენება დაბალ ბრუნვებზე 50 ბრ/წთ.

—საგრუნტავის გაშრობის შემდეგ, მისი გამოყენების შემთხვევაში, დაატანეთ საშუალება ორ ფენად ფუნჯის ან შპატელის მეშვეობით. გარემოს ტემპერატურის მიხედვით, ლოდინის დრო ფენებს შორის შეიძლება შეადგენდეს 1-2 საათს. მეორე ფენა დაატანეთ მას შემდეგ, რაც პირველი გაშრება იმ დონემდე, რომ არ მიიღოს დაზიანება.

—ზედაპირის ფოროვნობისა და წყლის წნევის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში დატანის სისქე შეიძლება შეიცვალოს.

### გაფრთხილებები

—კატეგორიულად აკრძალულია ხსნარში წყლის ან უცხო ნივთიერებების დამატება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც საშუალება გამოიყენება საგრუნტავის სახით.

—ინსტრუმენტები უნდა გარეცხოთ წყლით სამუშაოს დასრულებისთანავე. გამხმარი საშუალება შეიძლება მოაცილოთ გამხსნელის მეშვეობით.

—შევსება განახორციელეთ საშუალების სრული გაშრობის შემდეგ.

—მასალის დატანის შემდეგ, ზედაპირი უნდა დაიცვათ წვიმისა და მზიან მინიმუმ 24 საათის განმავლობაში, ყინვისგან კი მინიმუმ 3 დღის განმავლობაში.

—მიწისქვეშა ნაგებობების დამარხვამდე, ზედაპირები, რომლებზეც იყო დატანილი საშუალება, უნდა დაიცვათ დაზიანებებისგან თერმოიზოლაციური ფილებით, სადრენაჟო ფილებით ან აგურით.

—დაუშვებელია ლითონის ზედაპირებზე დატანა წინასწარ საგრუნტავის გარეშე. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების საინფორმაციო ფორმა.

### შენახვა

—დაიცავით გაყინვისგან.

### შეფუთვა

—30კგ პლასტმასის სათლი

**ხარჯი საშუალოდ: 30 კგ 3 მმ - 10 მ<sup>2</sup>**

ტექნიკური მახასიათებლები	(ტენიანობით 50% და ტემპერატურით 23°C)
<b>ზოგადი ინფორმაცია</b>	
იერ-სახე	მოყვავიფრო-შავი ბლანტი სითხე
შენახვის ვადა	გალხსნელ მდგომარეობაში მშრალ ადგილას 48 თვე
მყარი ნივთიერებების შემცველობა	71%±1%
<b>ინფორმაცია გამოყენებისთვის</b>	
სამუშაო ტემპერატურა	(+5°C)-(+35°C)
ხარჯი	მინიმუმ 3,0 კგ/მ <sup>2</sup> (მშრალი ფირის სისქისთვის 3მმ)
პირველადი გაშრობის დრო	5 საათი
ფენებს შორის ლოდინის დრო	1-2 საათი (პირის ტემპერატურის მიხედვით)
სრული გაშრობის დრო	1-3 დღე
ექსპლუატაციაში შეყვანის დრო	7 დღე (გამკვერცხვის ხარისხის გათვალისწინებით)
<b>ინფორმაცია საშუაო მაჩვენებლების შესახებ</b>	
ბზარების შევსება (EN 14891)	≥1,00 მმ (23 °C / -20 °C)
წყალგაუმტარობა (EN 14891)	≥2 ბარო (3 მმ სისქისთვის)

